საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია - კოლეგიის თავმჯდომარე

ბესიკ ქარცივაძე - კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრი ავტორი: თ. ნ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: გ. ჭ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17/01/2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 003/22

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ზ. თ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. თ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2022 წლის 17 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად ცნობილი არასრულწლოვანი თ. მ.-ის დედამ - თ. ნ.-მ და მოითხოვა ამავე საქმეში ბრალდებული პირის ადვოკატის - ზ. თ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2022 წლის 4 მაისს, თ. ნ.-ის წარმომადგენელი გ. ჭ. დაესწრო საპროცესო კოლეგიის ონლაინ ფორმატით გამართულ სხდომას და მხარი დაუჭირა საჩივარში მითითებულ გარემოებებს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი არასრულწლოვანი შვილი - თ. მ. არის საკუთარი ბაბუის - გ. მ.-ის მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ბრალდებულ გ. მ.-ს ჰყავს ადვოკატი - ზ. თ., რომელიც საჩივრის ავტორის პოზიციით, არღვევს მისი დაზარალებული შვილისა და მის უფლებებს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ზ. თ. საკუთარი კლიენტის დასაცავად იყენებს არაეთიკურ და უკანონო საშუალებებს. კერძოდ, ბრალდებულის ადვოკატი ცდილობს გაასაჯაროოს სისხლის სამართლის საქმის დეტალები მედია-საშუალებებით. ადვოკატმა რამდენიმე ინტერვიუში დაზარალებული არასრულწლოვანი ინიციალებით მოიხსენია, თუმცა საჯაროდ განიხილა სისხლის სამართლის საქმის მნიშვნელოვანი დეტალები: რომელ რაიონსა და სოფელში მოხდა შემთხვევა; დაასახელა, რომ საქმე ეხებოდა ბაბუა-შვილიშვილს და გაამჟღავნა ბრალდებულისთვის დამახასიათებელი დეტალები, კერძოდ ახსენა, რომ ბრალდებულს ცალი ფეხი არ აქვს. საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატი ზ. თ. იყენებს მასმედიას არასრულწლოვანი თ. მ.-ის და მისი ოჯახის სახელის გასატეხად. მისი ინტერვიუებიდან მარტივად იდენტიფიცირებადი ხდება არასრულწლოვნის ვინაობა (განსაკუთრებით იმ რაონში და პატარა სოფელში, რომელშიც დაზარალებული და ბრალდებული ცხოვრობდნენ). საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ზ. თ. ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, რაც ემსახურება დაზარალებული არასრულწლოვნის ჩვენების სანდოობაში ეჭვის შეტანას და არასრულწლოვნის სახელის გატეხვას, კლიენტის გამართლების მიზნით. გარდა ამისა, თ. ნ.-ის პოზიციით, ადვოკატი ზ. თ. ცდილობს არა მხოლოდ მისი შვილის, არამედ მის დისკრედიტაციასაც. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ტელევიზიაში ინტერვიუს მიცემისას თქვა, რომ ბავშვი იტყუება გაუპატიურების, სექსუალური ძალადობის შესახებ და ამ ჩვენების დაწერა არასრულწლოვანს დედამ ანუ თ. ნ.-მ აიძულა, რაც სიცრუეს წარმოადგენს. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, საჩივრის ავტორმა წარმოადგინა სამი ელექტრონული მისამართი (ე.წ. „ლინკი“) და განმარტა, რომ აღნიშნულ მისამართებზე განთავსებული მასალა დაადასტურებდა მის მიერ მითითებულ სადავო ფაქტებს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ზ. თ. კვლავ აგრძელებს მისი არასრულწლოვანი შვილის სახელის გატეხვას, მის დისკრედიტაციას, მისი ღირსების შელახვას და მის პირად ცხოვრებაში ჩარევას მასმედიის საშუალებით. საჩივრის ავტორის განმარტებით, გარდა აღნიშნული ქმედებისა, ადვოკატმა მიმართა სახალხო დამცველს, რითიც გაამჟღავნა დაზარალებული არასრულწლოვნის პირადი მონაცემები.

1.4 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა საქმესთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაცია გაამჟღავნა, თითქოს 100-150-ჯერ ჰქონდა ადგილი გაუპატიურებას, რაც არც ერთ ჩვენებაში არ წერია და არ დასტურდება საქმის მასალებით.

1.5 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატის ქმედებები ცუდად მოქმედებს არასრულწლოვნის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. გოგონა, რომელიც ისედაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა, მეორედ ხდება ადვოკატის მხრიდან ზეწოლის ობიექტი, მას რცხვენია, მთელი წელია არ დადის სკოლაში, ვერ გადის სახლიდან და ფაქტობრივად არავის ეკონტაქტება. 2022 წლის 4 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი სიუჟეტის მომზადებასა და გადმოცემაში მონაწილე 3 ჟურნალისტი (საჩივრის მიხედვით, სიუჟეტი დაფუძნებული იყო ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე, ის იყო ინფორმაციის წყარო) ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ სცნო ქარტიის პრინციპის დამრღვევებად იმ ნაწილში, რომ ჟურნალისტებმა არ მიანიჭებს არასრულწლოვნის ინტერესებს

უპირატესობა და არ გადმოსცეს ზუსტი ინფორმაცია (დარღვეულად იქნა ცნობილი ჟურნალისტური ეთიკის 1-ლი და მე-8 პრინციპები). საჩივრის ავტორის და მისი წარმომადგენლის პოზიციით, თუკი სიუჟეტი ჩაითვალა ქარტიის პრინციპების დარღვევად, შესაბამისად, პირი, ვინც ამ სიუჟეტისთვის ჟურნალისტებს მიაწოდა ინფორმაცია (ადვოკატი თოდუა), ასევე არღვევდა ეთიკურ სტანდარტებს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ზ. თ.-მ 2022 წლის პირველ თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, 2022 წლის პირველ დეკემბერს საპროცესო კოლეგიის ონლაინ ფორმატით გამართულ სხდომაზე მან მხარი დაუჭირა წერილობით ახსნა-განმარტებაში წარმოდგენილ დასაბუთებას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაციის მასმედიით გავრცელების შემდეგ, რაც დაცვის მხარის ნების საწინააღმდეგოდ მოხდა და რომელიც, განმცხადებლისა და მის უკან მდგომი პირების დიდი ინტერესით უნდა იყოს გაკეთებული, ბრალდებულის სამეზობლოს გაუჩნდა მყისიერი რეაგირების მოთხოვნილება - ბრალდებულის ლინჩის წესით დასჯა, რის შემდეგაც, სწორედ მისი ინტერვიუების, ბრიფინგების შედეგია ის, რომ მასმედიამ, სამართალდამცავი ორგანოებისგან განსხვავებით, ობიექტური პოზიცია დაიკავა.

2.3 ადვოკატმა ზ. თ.-მ განაცხადა, რომ საჩივარში მითითებული ინტერვიუების ელექტრონულ ბმულებზე (ე.წ. „ლინკები“) არაფერს იძლევა მათზე სამსჯელოდ, რადგან ასეთი უხვად იყო ამ საქმეზე და მხოლოდ ელექტრონულ მისამართებზე მითითება არასაკმარისია. ადვოკატმა ზ. თ.-მ წერილობით ახსნა-განმარტებასა და საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი განმარტების დროსაც აღნიშნა, რომ მას არცერთ ინტერვიუში არ უხსენებია დაზარალებული არასრულწლოვანის, განმცხადებლის და ბრალდებულის პერსონალური მონაცემები ან/და სოფლის დასახელება. ადვოკატმა დამატებით მიუთითა, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ინფორმაცია სოფელში უკვე იყო ცნობილი, ვინაიდან, იგი გავრცელდა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებამდე.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან ნამდვილად მიმართა სახალხო დამცველს და ითხოვა რეაგირება დაცვის უფლებების დარღვევისა და შშმ პირის უფლებების დარღვევის ნაწილში. მისი განმარტებით, რომ არა სახალხო დამცველის ჩართულობა, დღესაც არ იქნებოდა სახეზე სამხარაულის საექსპერტო დასკვნა, რომლითაც უტყუარად დასტურდება, რომ არავითარ გაუპატიურებას ადგილი არ ჰქონია და იგი მოგონილია დაზარალებულის (დიდი ალბათობით, მისი ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავის) მიერ. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა აღნიშნა, რომ მას სახალხო დამცველისთვის მასალების გადაცემის დროს სასამართლო გადაწყვეტილებით არანაირი აკრძალვა არ ჰქონია პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით. ადვოკატმა უარყო ის ფაქტი, რომ თითქოსდა მასმედიით თემის გაჟღერება უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე, რის გამოც იგი თურმე არ დადის სკოლაში, ჩაკეტილია და რცხვენია.

2.5 ადვოკატმა განაცხადა, რომ მას არ გაუმჟღავნებია საქმესთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაცია. ადვოკატის განმარტებით, მის კლიენტს 40-50-ჯერ გაუპატიურებისა და 50-60-ჯერ გარყვნილი ქმედებების ჩადენის ეპიზოდში სდებდნენ ბრალს, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს და სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობდა. ადვოკატის განმარტებით, მისი კლიენტი შშმ პირია და მას არ შეეძლო მსგავსი დანაშაულის ჩადენა, დაზარალებული მხარე ცრუობდა და ადვოკატმა ეს განცხადებები, საზოგადოებაში არსებული არასწორი წარმოდგენების გასაქარწყლებლად გააკეთა, რომლის უპირველეს მიზანს საკუთარი კლიენტის არა მხოლოდ სამართლებრივად, არამედ, ასევე, ფიზიკურად დაცვა წარმოადგენდა, რადგან მის კლიენტს სოფელში „ლინჩის წესით გასამართლებით“ ემუქრებოდნენ.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ზ. თ. /სიითი №/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი.

3.2 მოქალაქე თ. ნ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 17 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატის ზ. თ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ზ. თ.-მ დაარღვია საჩივრის ავტორის არასრულწლოვანი შვილის უფლებები. კერძოდ, საჯაროდ გაამჟღავნა სისხლის სამართლის საქმის მნიშვნელოვანი დეტალები და ტელევიზიით გამოსვლისას იდენტიფიცირებადი გახადა დაზარალებული არასრულწლოვნის ვინაობა; საჯაროდ განაცხადა, რომ არასრულწლოვანს ბრალდებულის საწინააღმდეგო ჩვენება დედამ მიაცემინა და ადვოკატმა სახალხო დამცველს გაუგზავნა სისხლის სამართლის საქმის მასალები.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია - არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.გ).

ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1).

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდესი, მუხლი 5).

5.3 „ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით. ადვოკატმა ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მისი ინტერესები ნებისმიერი პირის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა“ (ეთიკის კომისიის 26.06.19 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე № 074/16).

5.4 „დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლი არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას განახორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედებები და დაუშვებლად მიიჩნევს არაკანონიერი ქმედებები გამართლებული იქნეს ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ის გარემოება, რომ პირი მოქმედებს თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 28.08.1991 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Brandstetter v Austria*).

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 16.10.2013 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე #დს/შ10-13).

5.6 საპროცესო კოლეგია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით „მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს. კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს

თავის მოთხოვნებს. კოლეგია განმარტავს, რომ ამ კონკრეტული სადავო ფაქტების მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს - თ. ნ.-ს.

5.7 ზ. თ. წარმოადგენს თ. ნ.-ის მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს, რომლის მიერ, საკუთარი კლიენტის სასარგებლოდ შერჩეული დაცვის სტრატეგია და ტაქტიკა ბუნებრივია, მეორე მხარისათვის შესაძლოა მიუღებელი და არასასიამოვნოც კი იყოს. ადვოკატის განმარტებით, საჯარო განცხადების გაკეთებისას, მას არ გაუმჟღავნებია დაზარალებული და/ან ბრალდებულის პერსონალური მონაცემები და ისეთი მახასიათებლები, რაც შესაძლებელს გახდიდა მის იდენტიფიცირებას. ამასთან, მან სახალხო დამცველს ინფორმაცია მიაწოდა მხოლოდ შშმ პირის უფლებების დარღვევის ნაწილში და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ, მოითხოვა შესაბამისი რეაგირება, რაც წარმოადგენს არა კანონსაწინააღმდეგო, არამედ კლიენტის ინტერესების დასაცავად განხორციელებულ ქმედებას. დასახელებულ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, საჩივრის ავტორის მიერ გამოთქმული პრეტენზიების დადასტურების მტკიცების ტვირთი ეკისრება საჩივრის ავტორს. შესაბამისად, იმ ფაქტების დადასტურება, რომ ადვოკატმა ზ. თ.-მ დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტები, ეკისრება მომჩივან მხარეს - თ. ნ.-ს.

5.8 გარდა საჩივრისა და ზეპირი ახსნა-განმარტებისა, საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, საჩივრის ავტორმა წარმოადგინა სოციალურ ქსელ „ფესიბუქში“ გამოქვეყნებული სამი ელექტრონული მისამართი (ე.წ. „ბმული“) და მიუთითა, რომ აღნიშნულ ელექტრონულ მისამართებზე განთავსებული ინფორმაცია დაადასტურებდა ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ სადავო ქცევის ჩადენას. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალები დეტალურად შეისწავლა საპროცესო კოლეგიამ. პირველი ელექტრონული მისამართი წარმოადგენს „ტვ მონიტორინგის“ 2021 წლის 15 ოქტომბრის სიუჟეტის მოკლე ანონსს, სადაც ადვოკატი საუბრობს ერთი წუთისა და 22 წამის განმავლობაში და სიუჟეტში ასახული მონოლოგი ასეთია: „ერთადერთ ჩვენებას ემყარება, ამ ბავშვის ჩვენებას, რომელიც არ შეიძლება გაზიარებული იქნეს, რამეთუ ეწინააღმდეგება ყველას და ყველაფერს, ამიტომ. ბავშვი ამბობს, რომ, ასახელებს სტატისტიკას, რომ დაახლოებით 120 -125 ჯერ ჰქონდა სულ სექსუალურ ძალადობას მის მიმართ ადგილი ამ ოთხი წლის განმავლობაში. არ გამოდის არანაირად, 2017 წლის იანვრიდან, 2020 წლის ოქტომბრამდე პერიოდს ასახელებს, არ გამოდის ამდენი შაბათ -კვირა ყოფილიყო ეს ბავშვი პაპასთან საძალადოდ. ეს ფაქტი ერთი, მეორე - ჩვენება, რომელიც პირველ დღეს აქვს მიცემული და ჩვენება, რომელიც მეორე დღეს აქვს მიცემული აბსოლუტურად იდენტურია.. სიტყვათა წყობა, გრამატიკული შეცდომები, წერტილ-მძიმე, აზრის გადმოცემის ტექნიკა, გრამატიკული შეცდომები და ასე ვთქვათ, ალფაბეტიც კი. ვაცხადებ, რომ ეს არის „copy paste-ით“ გადმოტანილი და პროკურორმა შეკითხვაზე „შეუძლია 12 წლის ბავშვს ამხელა ტექსტი დაიმახსოვროს ზეპირად“ - განაცხადა, რომ არ აინტერესებს. ანუ მე ცალსახად ვაცხადებ, რომ ბავშვის მიერ მიცემული ჩვენება, ჩადებული საქმეში, არ არის მისი ჩვენება. ვიღაცამ აკრიფა სადღაც ტექსტი, ჩადო საქმეში და შემდეგ წაუკითხეს ამ ბავშვს და მოაწერინეს ხელი, რამეთუ ამხელა ტექსტის დამახსოვრება ზეპირად, არათუ 12 წლის ბავშვი, არამედ გაცილებით მეტი IQ-ს პატრონი ვერ შეძლებდა“.

საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ მეორე ელექტრონულ მისამართზე განთავსებული ანონსი სულ რვა წუთისა და 9 წამის განმავლობაში გრძელდება და რამდენიმე სიუჟეტს აერთიანებს. ანონსის დროს ისმის ჟურნალისტის ხმა, რომელიც საუბრობს არასრულწლოვნის გაუპატიურების ფაქტზე. ჟურნალისტი ახსენებს, რომ გაუპატიურების ბრალდებით შიდა ქართლში ვეტერანი მამაკაცი - არასრულწლოვნის ბაბუა დააკავეს. გადაცემის ანონსში არსად ჩანს ადვოკატი ზ. თ. და არც ადვოკატის საუბარია ჩაწერილი. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ მესამე ელექტრონულ მისამართზე განთავსებული ინფორმაცია წარმოადგენდა კულინარიული შინაარსის მასალას და არაფერი ჰქონდა საერთო სადავო ფაქტთან. შესაბამისად, საკითხის შეფასებისას, საპროცესო კოლეგიამ არ გაითვალისწინა მესამე ელექტრონულ მისამართზე განთავსებული კულინარიული შინაარსის ვიდეო მასალა.

5.9 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. კოლეგია განმარტავს, რომ პირის იდენტიფიკაცია გულისხმობს პირის ისეთი საიდენტიფიკაციო მონაცემების მოპოვებას, რომლებიც ამ პირის მოკვლევისა და სხვა პირისგან გამორჩევის საშუალებას იძლევა. თავის მხრივ, ასეთი მონაცემი შეიძლება იყოს ერთი რომელიმე ან რამდენიმე მონაცემის ერთობლიობა. მაიდენტიფიცირებელი მონაცემი აუცილებლად უნდა გამოარჩევდეს ერთ პირს მეორისაგან და საშუალებას უნდა აძლევდეს მონაცემების გამომყენებელს, რომ მიაკვლიოს საძიებო ობიექტს. ასეთ საიდენტიფიკაციო მონაცემად შეიძლება ჩაითვალოს, პიროვნების სახელი და გვარი; პირადი ნომერი ან პიროვნებისა და მის ირგვლივ არსებული გარემოს ისეთი მახასიათებლები, რაც საზოგადოებისათვის ან საზოგადოების ნაწილისათვის სიცხადეს ჰფენს პიროვნების ვინაობას. აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს ადამიანის ფიზიკურ მახასიათებლებზე; საცხოვრებელ მისამართზე; ასაკსა და სქესზე არსებულ ინფორმაციათა ერთობლიობასა ან/და ნაწილზე მითითებაში, რაც შინაარსიდან და ინფორმაციის სიმრავლიდან გამომდინარე ამჟღავნებს პიროვნების ვინაობას. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ იმ ვიდეო მასალაში, სადაც უშუალოდ ადვოკატი ზ. თ.-ს საუბარია ჩაწერილი, ირკვევა, რომ ადვოკატი ასახელებს დაზარალებული არასრულწლოვნის ასაკს, ბრალდებულთან ნათესაურ კავშირს და სექსუალური ძალადობის ფაქტს. პიროვნებისათვის დამახასიათებელ სხვა მონაცემს ადვოკატი არ ამჟღავნებს და სიუჟეტის დიდი ნაწილი ეთმობა ბრალდების მხარის მტკიცებულებების კრიტიკულ შეფასებას. ადვოკატის მიერ დასახელებული მწირი, ზოგადი ინფორმაცია საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ობიექტურმა დამკვირვებელმა დაადგინოს დაზარალებულის ვინაობა. საზოგადოებისთვის კვლავ უცნობი რჩება ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორიცაა არასრულწლოვნის სქესი, შემთხვევის ადგილი, ბრალდებულის მაიდენტიფიცირებელი ნიშნები, და ა.შ., რაც კონკრეტულ პიროვნებაზე მიანიშნებდა საზოგადოებას და შექმნიდა გონივრულ ვარაუდს, რომ ადვოკატი ზ. თ. საუბრობდა კონკრეტულად დაზარალებულ თ. მ.-სა და მისი ოჯახის წევრზე. ამავდროულად, ადვოკატი არც ცხადად მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას ამჟღავნებას - მაგ: ბრალდებულისა და დაზარალებულის სახელებსა და გვარებს ან სახელისა და გვარის ინიციალებს და სხვა. სიუჟეტში ადვოკატი არ ახსენებს არასრულწლოვნის დედას და არ უთითებს, რომ ჩვენება არასრულწლოვანმა დედის ზეგავლენით დაწერა. გადაცემიდან დგინდება, რომ ადვოკატი საუბრობს ზოგად კონტექსტში, მისი სიტყვების ადრესატი განუსაზღვრელია და

კონკრეტული ადრესატი არ ჰყავს: „ვიღაცამ აკრიფა სადღაც ტექსტი, ჩადო საქმეში და შემდეგ წაუკითხეს ამ ბავშვს და მოაწერინეს ხელი, რამეთუ ამხელა ტექსტის დამახსოვრება ზეპირად, არათუ 12 წლის ბავშვი, არამედ გაცილებით მეტი IQ-ს პატრონი ვერ შეძლებდა“. საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ „ნოდარ მელაძის შაბათის“ გადაცემის სიუჟეტზე განმარტავს, რომ გადაცემის ანონსში მხოლოდ ჟურნალისტების საუბარია ჩაწერილი და არ დგინდება აღნიშნულ სიუჟეტში ადვოკატ ზ. თ.-ს მონაწილეობა. რაც შეეხება ადვოკატის მიერ სახალხო დამცველისთვის მიმართვას, აღნიშნული არ წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას. ამავდროულად, საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია იმ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ადვოკატმა გაამჟღავნა საქმისწარმოების ისეთი დეტალები, რისი გამჟღავნებაც მას აკრძალული ჰქონდა. შესაბამისად, მხარეთა ახსნა-განმარტებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ზ. თ.-ს ქმედება არ წარმოადგენს ეთიკური ნორმების დარღვევას.

5.10 საპროცესო კოლეგიის პოზიციით, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ დგინდება ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტების (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 6.1, 5.გ., ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 5) დარღვევა, რის გამოც ამ ნაწილში არ უნდა აღიძრას დევნა მოპასუხე ადვოკატის მიმართ.

5.11 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა ზ. თ.-მ მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაცია დაამყარა მხარის ადვოკატის გვერდის ავლით და მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა.

ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან... (ადვოკატთა პროფესული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.4).

ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით... (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.4).

5.12 ,,...ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარეს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 15.05.19 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N022/19).

5.13 „კოლეგიალობის პრინციპი ადვოკატს ავალდებულებს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან დაკავშირებას, რაც საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, უნდა ატარებდეს არა მოწინააღმდეგე მხარისაგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების, არამედ კოლეგიალობის ხასიათს. კოლეგიალობის პრინციპი არ არის მარტოოდენ ფორმალური ქცევის მოთხოვნა, არამედ იგი შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია. ამ პრინციპის დაცვით, ადვოკატებს შესაძლებლობა ეძლევათ გადაამოწმონ კლიენტისა და მოწინააღმდეგე მხარისაგან მიღებული

ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის, საქმესთან დაკავშირებული გარემოებებისა და მხარეთა შესაძლო მორიგების შესახებ, თავიდან აიცილონ არასწორი კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამახინჯება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საქმის განხილვის გართულება, ან მოჰყვეს მხარეთა და/ან ადვოკატთა შორის ურთიერთობის დაძაბვა და კონფლიქტი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ადვოკატის სავალდებულო კომუნიკაცია ზრდის ადვოკატის პასუხისმგებლობას, რომ არაფერი ვთქვათ კოლეგის მიმართ პატივისცემის დადასტურების შესაძლებლობაზე“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 21.03.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №095/17).

5.14 საჩივრის ავტორის პრეტენზიები უარყო ადვოკატმა ზ. თ.-მ და დააზუსტა, რომ მან დაურეკა თ. ნ.-ს და შესთავაზა გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება, თუმცა ადვოკატის ვინაობის გაგების შემდეგ, თ. ნ.-მ მობილური გაუთიშა. ადვოკატის განცხადებით, ის არ ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მხარე წარმოდგენილი იყო ადვოკატის მეშვეობით.

5.15 საჩივრის ავტორისათვის შეურაცხყოფის მიყენებასთან დაკავშირებით, საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილების მტკიცების ტვირთის გადანაწილების თავისებურებაზე (იხ. გადაწყვეტილების 5.6 პუნქტი) და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მომჩივანი მხარის სამართლებრივ მოვალეობას წარმოადგენს ამტკიცოს და დაასაბუთოს ის გარემოებები, რომელთა შესახებაც საჩივარში უთითებს. მან უნდა წარმოადგინოს ისეთი მტკიცებულებები, რაც შექმნის დასაბუთებულ ვარაუდს ადვოკატის მიერ სადავო ქცევის ჩადენაზე. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან თ. ნ.-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა ზ. თ.-მ მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები, კერძოდ, მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, მტკიცების ტვირთი სწორედ საჩივრის ავტორს ეკისრება. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ საჩივარში წარმოდგენილი სადავო მმედება ჩაიდინა მოპასუხე ადვოკატმა. დისციპლინური საქმისწარმოების პროცესში, გარდა ახსნა-განმარტებისა, თ. ნ.-ს არ წარმოუდგენია სხვა ისეთი მტკიცებულება, რაც საპროცესო კოლეგიას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნებდა ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში.

5.16 მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, მხარესთან კომუნიკაციის სტანდარტთან დაკავშირებით საპროცესო კოლეგიამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის პოზიცია, რომ ადვოკატი ზ. თ. ინფორმირებული იყო მხარის ადვოკატის შესახებ და მან დაზარალებულის დედასთან კომუნიკაციის აღნიშნული ფორმა განზრახ აირჩია. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ ადვოკატისათვის ცნობილი იყო თ. ნ.-ის ადვოკატის შესახებ. კომისიისათვის უცნობია როდის ჩართო საჩივრის ავტორმა ადვოკატი საქმისწარმოებაში და გახდა თუ არა აღნიშნული ფაქტი ადვოკატ ზ. თ.-სათვის ცნობილი. შესაბამისად, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ ადვოკატი ზ. თ. ინფორმირებული იყო აღნიშნულ საკითხზე.

5.17 საპროცესო კოლეგიის პოზიციით, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ დგინდება ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ კოლეგიალობის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები: 9.4, 10.1) დარღვევა.

5.18 შესაბამისად, ადვოკატ ზ. თ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ვერ დგინდება ადვოკატის მხრიდან კანონიერად მოქმედების, პროცესის მონაწილის პატივისცემისა და კოლეგიალობის ვალდებულებების (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 6.1, 5.გ., ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები: 5, 9.4, 10.1) დარღვევა.

5.19 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს 32–ე, 33–ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.2, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №003/22 ადვოკატ ზ. თ.-ს /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ბესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/